წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №8

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 22 აპრილი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.
საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ნონა მიქავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მერის პირველი მოადგილე ცოტნე შანავა, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 40 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **ჯემალ კვარაცხელია,** მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი

2. მერის ბესიკ ფარცვანიას განცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მოისმინეს: 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მერიის ინფრასტრუქტურის,ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ.
აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ უფრო პრიორიტეტულად მიიჩნია მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის პრობლემის მოგვარება, ვინაიდან წყლის მილები შესაცვლელია ხოლო შემდგომ მოხდეს გზის რეაბილიტაცია. რაზეც მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ განუმარტა, რომ გზის იმ მონაკვეთში სადაც რეაბილიტაცია მოხდება იქ წყლის მილებიც შეიცვლება.

საკრებულოს წევრმა ცოტნე მესხიამ გამოთქვა უკმაყოფილება, რომ საკრებულო არ არის ინფორმირებული და მსგავსი პრიორიტეტების შერჩევაში საკრებულოს წევრები არ ღებულობენ მონაწილეობს, არადა საკრებულო დაკომპლექტებულია მოსახლეობის მიერ ნდობით აღჭურვილი პირებით.

საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ აღნიშნა, რომ ჯგალის ცენტრში მდებარე იუსტიციის სახლის ეზოს კეთილმოწყობა 2-ჯერ იყო მოწონებული საკრებულოს მიერ, მიუხედავად ამისა დღემდე მოუგვარებელია ეს საკითხი. რაზეც მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ განუმარტა, რომ თანხები ვერ იქნა მოძიებული დასაპროექტებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს განუმარტა, რომ რეგ ფონდიდან გამოყოფილი თანხები რომ არ დაკარგულიყო ჩავსვით ის სამუშაოები რომელთა პროექტები მზად გვქონდა.

საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრმა გიორგი აბულაძემ ,მერიის მხრიდან , რიგი საკითხების მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, მოთმინება შეუქო.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 16 დეპუტატი, წინააღმდეგი 9 - ცოტნე მესხია, დათა კუკავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, ბაჩუკი უბილავა, ვალერ კვარაცხელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 1[illegible]).

მოისმინეს 2. მერის ბესიკ ფარცვანიას განცხადების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ბესიკ ფარცვანიას განცხადება შვებულებაში (24 სამუშაო დღით) გასვლასთან დაკავშირებით.

საკრებულოს მიერ აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**